ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1065032

ნომერი: AR1186763

თარიღი : 24.12.2013

გაცემის თარიღი : 31.12.2013

გაცნობის თარიღი : 04.02.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწ. საცდელი მეურნეობა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გია მეტრეველი პ/ნ 35001099408
- რუსთავი მ.კოსტავას გამზ. კორ. 9ა ბ. 3

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- კოეფიციენტის განსაზღვრა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01,72,14,009,181) დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით ვრცელდება საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2-ის (სსზ-2) სტატუსი (იხ. დანართი), რომელშიც მოქმედებს შემდეგი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1=0,7.
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2=4,6.
- მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი კ-3=0,1.

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება №4-13 ,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები”-ს მიხედვით საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2 (სსზ-2), წარმოადგენს განაშენიანების მაღალი ინტენსივობის ზონას, მათ შორის კარკასს, სადაც დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციით. შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/ სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის (25%-მდე), აგრეთვე ამ წესების დანართი -1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობების არსებობა;

აქვე გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება აშშ საელჩოსთან 200მ-იანი შეზღუდვის ზონა, სადაც შეზუდულია გარკვეული ტიპის შენობა ნაგებობების განთავსება. დამატებით გაცნობებთ, რომ სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 06,03,2012წ. AR128176 განაცხადის საფუძველზე N75855 გადაწყვეტილებით გაცემულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.